

ს/ს 010250020.35.107.016242  
3/ა 07.04.2017




საქართველო  
ჩხოროწყუს  
მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

5000 საქართველო, ჩხოროწყუ,  
დ. აგმაშენებლის ქ. №1  
0(417) 22-01-28.

Georgia  
Chkhorotsku  
Municipality  
Council

5000 Georgia, Chkhorotsku,  
D. Agmashenebeli st. #1  
0(417) 22-01-28.



### დადგენილება №10

2017 წლის 3 აპრილი  
დ. ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

#### მუხლი 1.

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის №1 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 11/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.107.016203) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ერთ სულ მოსახლეზე 1,00 ლარი თვეში, ხოლო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70000-მდე ქულის მქონე ოჯახებისთვის ერთ სულ მოსახლეზე 0,30 ლარი თვეში;

ბ) იურიდიული პირებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის შემდეგი სახით:

№	ინდივიდუალური მეწარმის, ორგანიზაციის, დაწესებულების, იურიდიული პირების დასახელება	ზომის ერთეული	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში /ლარებში/
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები	საერთო ფართობი მ <sup>2</sup>	0,03
2	ოფისები, სააგენტოები, ბანკები, საფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები.	საერთო ფართობი მ <sup>2</sup>	0,40

3	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,10
4	პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, სკოლები, ინტერნატები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები /საგანმანათლებლო დაწესებულებები/	ერთ მოსწავლეზე	0,03
5	სასტუმროები	მომსახურების ერთეული /ერთი საწოლი/	1,5
6	საავადმყოფოები	1მ <sup>3</sup>	25
7	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი	1მ <sup>3</sup>	25
8	სტომატოლოგიური კაბინეტები	1მ <sup>2</sup>	0,50
9	სტადიონები, სპორტული დაწესებულებები, ღია ტერიტორიები	ღია ფართობის 1მ <sup>2</sup>	0,03
10	სამრეწველო საქონლის მაღაზიები სასურსათო საქონლის მაღაზია	სამუშაო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,40
11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები	სამუშაო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,50
12	სამშენებლო მასალების საამქრო	სამუშაო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,30
13	აგრალური ბაზრები და შერეული საქონლის მაზრობები	1მ <sup>3</sup>	25
14	ბენზინგასამართი სადგურები	1მ <sup>2</sup>	0,50
15	აბანოები, საუნები	1მ <sup>2</sup>	0,40
16	სილამაზის სალონები	1მ <sup>2</sup>	0,40
17	სარიტუალო დარბაზები, რესტორნები, კაფეები, სასადილოები და ბარები	1მ <sup>3</sup>	25
18	საცხოვრები და საკონდიტროები	1მ <sup>2</sup>	0,60
19	ტოტალიზატორები და სათამაშო კლუბები	1მ <sup>2</sup>	0,90
20	ავტოსადგომები და საავტომობილო სადგური	1მ <sup>2</sup>	0,30
21	ღია ტიპის დასვენების და გასართობი ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	1მ <sup>2</sup>	0,05
22	ავტოტექნომსახურების სადგურები, სახელოსნო, ავტოსამრეცხაო	1მ <sup>2</sup>	0,50
23	მშენებარე ობიექტები	ფართის 1მ <sup>2</sup> -ზე	0,50
24	საბითუმო საწყობები, მაცივარი, ბაზა	1მ <sup>2</sup>	0,50
25	ჰიდროელექტრო სადგურები	1მ <sup>3</sup>	25

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №4

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი

(შესაბამისი პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახური ან იურიდიული პირი)

ქვითარი № \_\_\_\_\_

გადამხდელი \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)

მისამართი \_\_\_\_\_  
(იურიდიული მისამართი)

\_\_\_\_\_ (გადასახადის დასახელება)

ა) გადასახადი ფიზიკური პირებისათვის ერთ სულზე თვეში 1,00 ლარი;	
ბ) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70000-მდე ქულის მქონე ოჯახებისთვის ერთ სულ მოსახლეზე 0,30 ლარი თვეში	
სულადობა	.
გადასახდელი თანხა	
გადახდილია	
ნარჩენი	

\_\_\_\_\_ (გადახდილი თანხა სიტყვიერად)

გადაიხდა: \_\_\_\_\_  
(გადამხდელის ხელმოწერა)

მივიღე: \_\_\_\_\_  
(პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა გარკვევით)“.

**მუხლი 2.**  
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ბესიკ ესებუა/